შპს „სუპერ ტვ“-ს წინააღმდეგ, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ საჩივრის განხილვის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში “კომისია”) აღნიშნავს, რომ კომისიას საჩივრით (კომისიაში რეგისტრაციის N6/6836-13 – 26.11.2013) მიმართა ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდმა“, შპს „სუპერ ტვ“-ს მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევასთან დაკავშირებით.

კომისიაში წარმოდგენილ საჩივარში აღნიშნულია, რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდმა“ 2013 წლის 17 ოქტომბერს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40[1] მუხლის საფუძველზე მიმართა შპს „სუპერ ტვ“-ს სავალდებულო ტრანზიტის მოთხოვნით და მოსთხოვა ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ შპს „სუპერ ტვ“-ს სამომხმარებლო პაკეტში განთავსება, რასთან დაკავშირებითაც შპს „სუპერ ტვ“-ს მიერ 2013 წლის 19 ოქტომბრის წერილით მოთხოვნილ იქნა სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ სიგნალის ქსელში განთავსებისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების მიწოდება. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდმა“ შპს „სუპერ ტვ“-ს მიაწოდა ტექნიკური საშუალებები იმ ტექნიკური პარამეტრებით, რაც განსაზღვრულია „„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო ტრანზიტის განხორციელებისას მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მიერ მაუწყებლის სიგნალის გავრცელებისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მონაცემების დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებით. კერძოდ, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ განხორციელდა შპს „სუპერ ტვ“-სთვის შემდეგი ტექნიკური საშუალებების მიწოდება:

- მეტრული (VHF) და დეციმეტრულ (UHF) დიაპაზონში სატელევიზიო მაუწყებლობის ანალოგური სიგნალის საარხო მიმღები (ე.წ. მოდულატორი) -მწარმოებელი Terraelectronics; მოდელი Teraa MT 420; სერიული CMT420C13390229;
- თანამგზავრული მიმღები, ოფსეტური ანტენა, მიმღები თავაკი + მაგთისატის ბარათი-მწარმოებელი Magtisat; მოდელი ZHD210 HDTV; სერიული 12308245206;

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ მიწოდებული ტექნიკური საშუალებების ზუსტი ხარისხი და მახასიათებლები წინასწარ იყო შეთანხმებული შპს „სუპერ ტვ“-ს ტექნიკურ სამსახურთან, 2013 წლის 28 ოქტომბრის წერილით, შპს „სუპერ ტვ“-მ უარი განაცხადა მის მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებულ პაკეტში სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ ჩართვაზე იმის გამო, რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ მიწოდებული თანამგზავრული მიმღები საყოფაცხოვრებო დანიშნულების იყო და შესაბამისად არ შეესაბამებოდა კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებას.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდს“ მიაჩნია, რომ მათ მიერ შპს „სუპერ ტვ“-სთვის მიწოდებული ტექნიკური აღჭურვილობა სრულად შეესაბამება კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს, კერძოდ განცხადებაში აღნიშნულია, რომ შპს „მაგთიკომი“ წარმოადგენს სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ სიხშირის ტრანზიტორს და ახდენს სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ რეტრანსლირებას „მაგთისატის“ ქსელში, ამავე დროს, შპს „მაგთიკომი“ ასევე უზრუნველყოფს ტელეკომპანიისთვის არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების მიმღებ-გადამცემი ტექნიკური საშუალებების მიწოდებას. ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ განმარტებით მიწოდებული თანამგზავრული მიმღები (რესივერი) არ წარმოადგენს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტექნიკას; იგი, მის ოფსეტურ ანტენასთან, მიმღებ თავაკთან და „მაგთისატის“ ბარათთან ერთად წარმოადგენს სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ სიგნალის მიმღებ-გადამცემ მოწყობილობას, აღნიშნული აპარატურა არ არის ჩართული „მაგთისატის“ ბილინგის სისტემაში, რაც გამორიცხავს აღნიშნული ტექნიკის საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას.

მოთხოვნები:

1. დაევალოს შპს „სუპერ ტვ“-ს, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ შპს „სუპერ ტვ“-ს სამომხმარებლო პაკეტში განთავსება;
2. დაეკისროს შპს „სუპერ ტვ“-ს შესაბამისი სანქცია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოსკანონის 40[1] მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის გამო;

კომისია აღნიშნავს, რომ 2013 წლის 28 ნოემბერს, კომისიაში დამატებით წარმოდგენილ იქნა ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ განცხადება (28.11.2014 N6/6878-13) სადაც აღნიშნულია, რომ „მაგთისატის“ ის ტექნიკური საშუალებები, რომლის მიწოდებაც უზრუნველყო ააიპ „სამოქალქო განათლების ფონდმა“ შპს „სუპერ ტვ“-სთვის, უკვე გამოიყენება მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული სხვა პირების (შპს „სინემა კახეთი“, შპს „გორდა“, შპს „ტელევიზია კახეთი“) მიერ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ საკაბელო ქსელში რეტრანსლირებისთვის.

კომისია აღნიშნავს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით 2013 წლის 4 დეკემბერს კომისიაში შემოვიდა შპს „სუპერ ტვ“-ს შეპასუხება (კომისიაში რეგისტრაციის N6/6945–13), რომელშიც აღნიშნულია, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40[1] მუხლის შესაბამისად, მაუწყებელი ვალდებულია

თავისი ხარჯით მიაწოდოს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს მაუწყებლის სიგნალის ქსელში განთავსებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები და უზრუნველყოს მაუწყებლის სიგნალის თანამგზავრამდე მიტანა. როგორც შეპასუხებაშია აღნიშნული, მას შემდეგ, რაც 2013 წლის 17 ოქტომბერს ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდმა“ სავალდებულო ტრანზიტის მოთხოვნით მიმართა შპს „სუპერ ტვ“-ს, ამ უკანასკნელის მიერ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდს“ განემარტა, თუ რა ტექნიკური საშუალებები იყო საჭირო იმისთვის, რომ მომხდარიყო სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ ჩართვა შპს „სუპერ ტვ“-ს როგორც ანალოგურ, ასევე DVBT სისტემის ქსელში, ასევე ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდს“ გაეგზავნა ტრანზიტის განხორციელების შეთანხმება ხელმოსაწერად. როგორც შეპასუხებაშია აღნიშნული, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ შპს „სუპერ ტვ“-სთვის არ იქნა მიწოდებული ის აპარატურა, რაც შესაბამისობაში იქნებოდა კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებთან. შეპასუხებაში ასევე აღნიშნულია, რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ, შპს „სუპერ ტვ“-სთვის მიწოდებულ იქნა საერთო სარგებლობის (საყოფაცხოვრებო) თანამგზავრული მიმღები მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება „მაგთისატის“ თანამგზავრიდან სატელევიზიო სიგნალის აბონენტებისთვის მისაწოდებლად. შპს „სუპერ ტვ“-ს განცხადებით, აღნიშნულს ადასტურებს ასევე კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის ინჟინრის მიერ 2013 წლის 15 ნოემბერს შედგენილი ტექნიკური დათვალიერების ოქმით.

შპს „სუპერ ტვ“-ს შეპასუხებაში ასევე აღნიშნულია, რომ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ შპს „სუპერ ტვ“-ს ქსელში განთავსებისთვის, შპს „სუპერ ტვ“ ითხოვს ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ მიწოდებულ იქნას კომპანია BLANKOM Digital GmbH პროფესიული რესივერი, სასურველია ჰქონდეს ASI გამოსასვლელი - DRD 694/695 (ან სხვა მსგავსი პროფესიული აპარატურა) რომელიც აღიქვამს/გახსნის თანამგზავრული ოპერატორის სიგნალს ან დამატებით CAM მოდული და კომპანიის სატელევიზიო სიგნალის მისაღებად შესაბამისი ბარათი http://www.dvbc.ruphp/catalogue/digital-headend-products/ird/blankom-drd-694.

კომისია აღნიშნავს, რომ საჩივრის განსახილველად მიღების საკითხის განხილვა კომისიაში გაიმართა 2013 წლის 5 დეკემბერის სხდომაზე, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება N711/23 „ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“-ს საჩივრის განსახილველად მიღებისა და აღნიშნული საჩივრის განხილვის მიზნით ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“; აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, საკითხის განხილვის მიზნით ზეპირი მოსმენა დაინიშნა 2013 წლის 20 დეკემბერს 16:00 საათზე. ზეპირი მოსმენის სხდომის გამართვის თაობაზე მხარეები გაფრთხილდნენ კომისიის 2013 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე დროს, კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტს დაევალა ზეპირი მოსმენის სხდომაზე დასკვნის წარმოდგენა, თუ რამდენად შეესაბამება ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ შპს „სუპერ ტვ“-სთვის შეთავაზებული ტექნიკური გადაწყვეტა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო ტრანზიტის განხორციელებისას მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მიერ მაუწყებლის სიგნალის გავრცელებისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მონაცემების დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებას და რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნული ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით მაუწყებლობის ტრანზიტული გავრცელება შპს „სუპერ ტვ”-ის ქსელში. კომისიის 2013 წლის 5 დეკემბერის სხდომაზე მხარეებს ასევე მიეცათ წინადადება მორიგებასთან დაკავშირებით.

კომისია აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში კომისიაში დამატებით წარმოდგენილ იქნა ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ განცხადებები (10.12.2013 N6/7045-13 და 10.12.2013 N6/7046-13) სადაც აღნიშნულია, რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ ვერ გაიზიარებს შპს „სუპერ ტვ“-ს შეპასუხებაში აღნიშნულ გარემოებას, რომ ის ტექნიკური მოწყობილობა, რაც მიწოდებულ იქნა შპს „სუპერ ტვ“-სთვის არ იძლეოდა სამაუწყებლო სიგნალის თანამგზავრიდან მოხსნის საშუალებას, ვინაიდან ანალოგიური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული სხვა პირები (შპს „სინემა კახეთი“, შპს „გორდა“, შპს „ტელევიზია კახეთი“) უკვე ახდენენ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ რეტრანსლირებას.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ კომპანიის მიერ შპს „სუპერ ტვ“-სთვის ტექნიკური საშუალებების მიწოდება განხორციელდა მხოლოდ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ შპს „სუპერ ტვ“-ს საკაბელო ანალოგურ ქსელში ჩასართავად.

კომისია აღნიშნავს, რომ საკითხის განხილვის მიზნით ზეპირი მოსმენა კომისიაში გაიმართა 2013 წლის 20 დეკემბერს. ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრებოდნენ შპს „სუპერ ტვ“-ს და ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ წარმომადგენლები. ზეპირი მოსმენის სხდომაზე აღინიშნა, რომ მხარეებს შორის ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება სადავო საკითხზე მორიგებასთან დაკავშირებით.

კომისია აღნიშნავს, რომ ზეპირი მოსმენის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის დასკვნა (16.12.2013 N10/1773-13), სადაც აღნიშნულია, რომ 2013

წლის 15 ნოემბერს, რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ზემოაღნიშნული საკითხი იქნა შესწავლილი შპს „სუპერ ტვ“-ს მოთხოვნის საფუძველზე და გაფორმდა ტექნიკური დათვალიერების ოქმი. აღნიშნულის თაობაზე შპს „სუპერ TV“-ს ეცნობა წერილით N06/2577-13 29.11.2013. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV (მოდელი ZHD210) წარმოადგენს საყოფაცხოვრებო სარგებლობის თანამგზავრულ მიმღებ მოწყობილობას. როგორც დასკვნაშია აღნიშნული, ამ მოწყობილობის გამოსასვლელიდან მიიღება CVBS და HDMI სიგნალები და საყოფაცხოვრებო დანიშნულების თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV ნაწილობრივ აკმაყოფილებს კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს №8 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტი განმარტავს, რომ „მაგთისატის“ თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV (რესივერი), წარმოადგენს საყოფაცხოვრებო სააბონენტო მიმღებ მოწყობილობას, რომლის მეშვეობითაც „მაგთისატი“ აწარმოებს სამომხმარებლო პაკეტების აბონენტებამდე მიწოდებას. ამ მოწყობილობის საშუალებით, ტექნიკურად შესაძლებელია, სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ სატელევიზიო სიგნალის, შპს „სუპერ ტვ“-ს ანალოგურ საკაბელო ქსელში ჩართვა. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ შპს „სუპერ ტვ“-ს მიერ, სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ სატელევიზიო სიგნალის თავის ქსელში ჩართვის შემაფერხებელ გარემოებად სახელდება ZHD210 HDTV თანამგზავრული მიმღების ტექნიკური პარამეტრების შეუსაბამობა კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილების მოთხოვნებთან; კერძოდ, მიწოდებული თანამგზავრული მიმღები, უნდა იყოს არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ მხარეებს შორის ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი შეუთანხმებლობის განხილვისა და შეჯერების მიზნით, მიმდინარე წლის 10 დეკემბერს, კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის ინიციატივით შედგა შეხვედრა ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის (სამაუწყებლო კომპანია „ტაბულა“) და შპს „სუპერ ტვ“ წარმომადგენელებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ: ს.ნემსაძე, გ. ვაშაძე („სუპერ ტვ“) და ი.მჟავია („ტაბულა“). შეხვედრაზე განხილულ იქნა ყველა ზემოაღნიშნული საკითხი. შეხვედრაზე, დროებით, ალტერნატიულ ვარიანტად შეთავაზებულ იქნა, არსებული თანამგზავრული მიმღების დროებითი გამოყენება, „ტაბულა“-ს სატელევიზიო სიგნალის „სუპერ ტვ“ საკაბელო ქსელში ჩართვის მიზნით, არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების თანამგზავრული მიმღების მიწოდებამდე, მიწოდების შეთანხმებული პირობების და ვადების დაცვის შემთხვევაში. „სუპერ ტვ“-ს წარმომადგენლების მიერ გამოითქვა მზადყოფნა ამ შესაძლებლობის განხილვაზე. როგორც დასკვნაშია აღნიშნული, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ წარმომადგენელმა მოითხოვა ZHD210 HDTV თანამგზავრული მიმღების გამოყენება, იმ მოტივაციით, რომ აღნიშნული აკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებს და არ არის გარკვეული საყოფაცხოვრებოა თუ არასაყოფაცხოვრებოა ეს მიმღები მოწყობილობა.

დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ თანამგზავრული მიღების კონკრეტული მოდელის ZHD210 HDTV კატეგორიის დაზუსტების მიზნით, კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტი დაუკავშირდა მწარმოებელ, ბულგარულ კომპანია „BULSATCOM“-ს. კომპანია „BULSATCOM“-მა წერილობით დაადასტურა, რომ თანამგზავრული მიმღები მოდელი ZHD210 HDTV განკუთვნილია საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის, მაგრამ ქსელის ოპერატორის შეხედულებისამებრ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საკაბელო ქსელის სათაო სადგურშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტს მიაჩნია, რომ:

ა) თანამგზავრული მიმღები, მოდელი ZHD210 HDTV წარმოადგენს საყოფაცხოვრებო სარგებლობის თანამგზავრულ მიმღებ მოწყობილობას და მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს №8 დადგენილების მოთხოვნებს.

ბ) სამაუწყებლო პროგრამის ტრანზიტისთვის მიწოდების მეთოდის შერჩევა, უნდა განხორციელდეს მაუწყებელსა და ტრანზიტორს შორის ურთიერთშეთანხმებული ტექნიკური საშუალებების მეშვეობით, კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს №8 დადგენილების შესაბამისად.

კომისია აღნიშნავს, რომ ზეპირი მოსმენის სხდომაზე დამატებით წარმოდგენილ იქნა კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის დაზუსტებული დასკვნა (20.12.2013 N10/1818-13), რომელშიც დაზუსტებულია დასკვნის ის ნაწილი, სადაც საუბარია მწარმოებელი კომპანია „BULSATCOM“-ის წერილზე, კერძოდ, კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტმა დააკონკრეტა, რომ კომპანია „BULSATCOM“-მა წერილობით დაადასტურა, რომ თანამგზავრული მიღები მოდელი ZHD210 HDTV განკუთვნილია საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის, მაგრამ ქსელის ოპერატორის გადაწყვეტილების მიხედვით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საკაბელო ქსელის სათაო სადგურში პროფესიული დანიშნულებით.

მწარმოებელი კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მთარგმნელობითი სიზუსტისათვის კომისიის წევრები ადგილზე გაეცნენ ორიგინალში წერილის შინაარსს, სადაც აღნიშნულია, რომ: “A ZHD-210 satellite receiver (set-top-box) in combination/pairing with a Bulcrypt smart card may be configured to receive whole

packages or just a single TV channe. In that sence, the box may be used respectfully for individual use or at the deceision of the operator it may be used for professional needs, e.g. to deliever signal to a cable head–end."

ზეპირი მოსმენის სხდომაზე შპს „სუპერ ტვ"-ს წარმომადგენლებმა (ს.ნემსაძე, ა.თაბაგარი) აღნიშნეს, რომ შპს „სუპერ ტვ" მზად არის განათავსოს ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის" სამაუწყებლო არხი „ტაბულა" საკუთარ სატრანზიტო ქსელში, იმ სტანდარტებისა და ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით, რაც შესაბამისობაშია კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკური საშუალებების ტექნიკურ მონაცემებთან. შპს „სუპერ ტვ"-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს „სუპერ ტვ"-ს ხშირად ექმნება პრობლემები ამა თუ იმ კომპანიის ე.წ. „რესივერის" გამოყენებით სამაუწყებლო არხების ტრანზიტთან დაკავშირებით; კერძოდ, როგორც შპს „სუპერ ტვ"-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, ხშირია შემთხვევები, როდესაც მაგალითად „ბლექსი სატის", „მაგთისატის" და „სილქნეტის" ტექნიკური საშუალებებით (ე.წ. „რესივერებით") განხორციელებული ტრანზიტისას ხდება გადაცემების წყვეტა და ხშირ შემთხვევაში ხორციელდება ამ „რესივერების" მფლობელი, ასევე მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირების მომსახურების რეკლამა, რაც შპს „სუპერ ტვ"-ს წარმომადგენლების აზრით, ერთი მხრივ, არაკონკურენტულ გარემოში აყენებს შპს „სუპერ ტვ"-ს, ვინაიდან მათ აბონენტებს მიეწოდებათ კომპანიის კონკურენტ, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირებზე სარეკლამო სახის ინფორმაცია და, მეორე მხრივ, აღნიშნული სახის ინფორმაციის მიწოდება დისკომფორტს უქმნის თავად შპს „სუპერ ტვ"-ს აბონენტებს და გავლენას ახდენს შპს „სუპერ ტვ"-ს მიერ აბონენტებისთვის მოწოდებული მომსახურების ხარისხზე.

შპს „სუპერ ტვ"-ს წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-40[1] მუხლი განმარტავს, რომ მაუწყებელი ვალდებულია თავისი ხარჯით, ერთჯერადად მიაწოდოს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს მაუწყებლის სიგნალის ქსელში გავრცელებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები და უზრუნველყოს მაუწყებლის სიგნალის თანამგზავრამდე მიტანა, ხოლო კომისიის მიერ 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო ტრანზიტის განხორციელებისას მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მიერ მაუწყებლის სიგნალის გავრცელებისთვის აუციელებელი ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მონაცემების" შესაბამისად განსაზღვრულია, რომ მაუწყებლის მიერ, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირისთვის მიწოდებული თანამგზავრული მიმღები უნდა იყოს არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების. შპს „სუპერ ტვ"-სწარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდს" განემარტა კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილების მოთხოვნების თაობაზე და მიეცა წინადადება, აერჩია აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული 11 ტექნიკური გადაწყვეტიდან, რომელ ტექნიკურ გადაწყვეტას აირჩევდა შპს „სუპერ ტვ"-სთვის სამაუწყებლო სიგნალის მისაწოდებლად. შპს „სუპერტვ"-ს განმარტებით ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდმა" აირჩია თანამგზავრული მიმღები მოწყობილობის მეშვეობით სიგნალის გავრცელება; როგორც შპს „სუპერ ტვ"-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, ამ სახის ტექნიკური გადაწყვეტისთვის, კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილების დანართი N1-ს მე-2 პუნქტიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ თანამგზავრული მიმღები მოწყობილობა არ იყოს საყოფაცხოვრებო დანიშნულების, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი", რომელიც ამავე დროს წარმოადგენს სიხშირულის პექტრის გამოყენებით საეთერო მაუწყებელს, აირჩევს სიგნალის გავრცელებას, როგორც სიხშირული და არა როგორც თანამგზავრული მაუწყებელი, მაშინ შპს „სუპერ ტვ"-ს წარმომადგენელების განმარტებით ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის" მიერ შპს „სუპერ ტვ"-სთვის სამაუწყებლო სიგნალის მიწოდება უნდა მოხდეს ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილების დანართი N1-ს მე-4 პუნქტით. ამასთან, შპს "სუპერ ტვ"-მ აღნიშნა, რომ თუ სამაუწყებლო არხ "ტაბულას" მიერ თანამგზავრული მაუწყებლობა არ ხორციელდება ღია ფორმატით და იგი მაუწყებლობს მხოლოდ საეთერო წესით, მაშინ, შპს "სუპერ ტვ" მით უფრო არაა ვალდებული არხის ტრანზიტი მოახდინოს შპს "მაგთსატის" საყოფაცხოვრებო თანამგზავრული მიმღები აპარატურის გამოყენებით.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის" წარმომადგენლებმა (თ.ჩერგოლეიშვილი, გ.ფრუიძე, ი.მჟავია, თ.უსტარაშვილი) ზეპირო მოსმენის სხდომაზე აღნიშნეს, რომ სამაუწყებლო არხ „ტაბულას" ტრანზიტთან დაკავშირებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს შპს „მაგთიკომი", შპს „მაგთიკომსა" და ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდს" შორის 2013 წლის 7 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, შპს „მაგთიკომი", ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სამაუწყებლო არხ „ტაბულას" რეტრანსლირებას „მაგთისატის" ქსელში და შესაბამისად, სამაუწყებლო არხი ხელმისაწვდომია „მაგთისატის" აბონენტებისთვის, და მეორე მხრივ, ამავე ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „მაგთიკომი" უზრუნველყოფს სამაუწყებლო არხ „ტაბულას" სიგნალის გავრცელებას „მაგთიკომის" მიმღებ-გადამცემი აპარატურის მეშვეობით.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დავის ძირითადი საგანია ის გარემოება, რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ შპს „სუპერ ტვ“-სთვის მიწოდებული აპარატურა წარმოადგენს საყოფაცხოვრებო დანიშნულების აპარატურას. თუმცა, როგორც ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ წარმომადგენელმა განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის დასკვნაში მითითებულია, რომ „მაგთისატის“ თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV (რესივერი), წარმოადგენს საყოფაცხოვრებო სააბონენტო მიმღებ მოწყობილობას, დეპარტამენტის თანამშრომლები ვერ უთითებენ ვერც ერთ ნორმატიულ აქტს, ან საქართველოში მოქმედ რომელიმე ტექნიკურ სტანდარტს, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა რომ აღნიშნული მიმღები მოწყობილობა არის საყოფაცხოვრებო დანიშნულების. ამავე დროს, როგორც ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ წარმომადგენელმა განმარტა, კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის იმავე დასკვნაში მითითებულია, რომ „მაგთისატის“ ამ მოწყობილობის საშუალებით, ტექნიკურად შესაძლებელია სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ სატელევიზიო სიგნალის შპს „სუპერ ტვ“-ს ანალოგურ საკაბელო ქსელში ჩართვა. ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა თავად აპარატურის მწარმოებელი კომპანიის - „BULSATCOM“-ს წერილზე, სადაც აღნიშნულია, რომ თანამგზავრული მიღები მოდელი ZHD210 HDTV განკუთვნილია საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის, მაგრამ ქსელის ოპერატორის გადაწყვეტილების მიხედვით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საკაბელო ქსელის სათაო სადგურში პროფესიონალური დანიშნულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ მათი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და შპს „სუპერ ტვ“-ს უნდა დაევალოს სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ განთავსება შპს „სუპერ ტვ“-ს სატრანზიტო ქსელში, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ მიწოდებული აპარატურით, ვინაიდან აღნიშნული აპარატურა აკმაყოფილებს კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილების მოთხოვნებს; კერძოდ, ის ფაქტი, რომ „მაგთისატის“ აპარატურის გამოყენება შესაძლებელია პროფესიული დანიშნულებით და დადასტურებულია თავად აპარატურის მწარმოებლის მიერ, ხოლო ის გარემოება, რომ აღნიშნული აპარატურის მეშვეობით ტექნიკურად შესაძლებელია სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ განთავსება შპს „სუპერ ტვ“-ს სატრანზიტო ქსელში და დადასტურებულია კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის დასკვნით.

კომისია აღნიშნავს, რომ ზეპირი მოსმენის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების თარიღად დასახელდა 2013 წლის 26 დეკემბერი. ამავე დროს, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად, მოწმის სტატუსით შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენლების ჩართვა, რისთვისაც შპს „მაგთიკომს“ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება (23.12.2013 N03/2810-13) და მოწვეულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად.

კომისია აღნიშნავს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, 2013 წლის 25 დეკემბერს კომისიაში წარმოდგენილ იქნა შპს „მაგთიკომის“ წერილი (N6/7396-13) რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს “მაგთიკომი“, შპს „მაგთიკომსა“ და ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდს“ შორის 2013 წლის 7 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფს სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ გავრცელებას შემდეგი სახით: „ტაბულას“ ვიდეოსიგნალი მიეწოდება შპს „მაგთიკომის“ ენკოდერს, მიღებული სიგნალი შპს „მაგთიკომის“ ინფრასტურქტურის გამოყენებით გადაიცემა სათაო ოფისში, შემდეგ შპს „მაგთიკომის“ სათაო ოფისიდან ხორციელდება სიგნალის ატვირტვა 4.8E პოზიციაში მყოფ თანამგზავრზე. ატვირთული სიგნალი მიიღება ქ.სტოკჰოლმში მდებარე შპს „მაგთიკომის“ სადგურში, რომელიც, თავის მხრივ, იტვირთება 31.5E პოზიციაში მყოფ თანამგზავრზე, საიდანაც ხდება სიგნალის დისტრიბუცია მაგთისატის მიმღები საშუალებით.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2013 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენელმა გიორგი წიქარიშვილმა განმარტა, რომ შპს „მაგთიკომი“ უზრუნველყოფს ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ 4.8E პოზიციაზე მყოფ თანამგზავრზე ატანას და სიგნალის შემდგომ გავრცელებას „მაგთისატის“ მიმღები საშუალების გამოყენებით; თანამგზავრზე სამაუწყებლო სიგნალი დახურულია, რაც გულისხმობს იმას, რომ შპს „მაგთიკომის“ მეშვეობით სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ სამაუწყებლო სიგნალი ხელმისაწვდომია მხოლოდ „მაგთიკომის“ აბონენტებისთვის და ასევე იმ პირებისთვის, რომლებიც სარგებლობენ შპს „მაგთიკომის“ მიმღებ-გადამცემი მოწყობილობებით. შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენლის განმარტებით ტექნიკურად შესაძლებელია სამაუწყებლო სიგნალი იყოს ღია და ხელმისაწვდომი ყველა იმ პირისთვის, ვინც სარგებლობს თანამგზავრული მოწყობილობით, მაგრამ ეს საკითხი წარმოადგენს თავად თანამგზავრის მფლობელისა და სამაუწყებლო არხის მოლაპარაკების საგანს. რაც შეეხება თავად შპს „მაგთიკომს“, კომპანიას აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს თანამგზავრზე სიგნალის გახსნა ან/და დახურვა.

შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ „მაგთისატის“ რესივერების მწარმოებელი არის არა შპს „მაგთიკომი“, არამედ ეს არის კომპანია „BULSATCOM“-ის წარმოებული მიმღები მოწყობილობა და კომპანია „DELTACOM”-ის მიერ წარმოებული კოდირების სისტემა, რომელსაც სხვადასხვა სამაუწყებლო არხები იყენებენ საკუთარი სამაუწყებლო სიგნალის გასავრცელებლად, მაგალითად “SETANTA EURO ASIA HD” სამაუწყებლო სიგანლის აზიაში გავრცელების მიზნით იყენებს სწორედ ამ აპარატურას. შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ანალოგიური სახის მიმღები მოწყობილობებით კომპანია ემსახურება როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სამაუწყებლო არხებს და კომპანია ამ მოწყობილობის გამოყენებით ასევე ახორციელებს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული სხვადასხვა პირებისთვის რიგი სამაუწყებლო არხების სიგნალის მიწოდებას. მან ასევე განმარტა, რომ მიმღებ მოწყობილობას, შპს „მაგთიკომი“ იღებს თავად მწარმოებლისგან კონკრეტული არხისთვის, რაც იმას გულისხმობს, რომ თავად აპარატურის და კოდირებული სისტემისთვის განსაზღვრული სერიული ნომერი განკუთვნილია კონკრეტულად იმ სამაუწყებლო არხისთვის (ამ შემთხვევაში ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო არხ „ტაბულასთვის“), რომლის რეტრანსლირებაც უნდა განხორციელდეს ამ კონკრეტული აპარატურის მეშვეობით და ნებისმიერ სხვა პირს, სურვილის შემთხვევაშიც კი არ ექნება შესაძლებლობა განახორციელოს აღნიშნულ მიმღებ აპარატურაში სხვა ტექნიკური უზრუნველყოფის, ე.წ. „Soft”-ის ჩატვირთვა. შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ აღნიშნული მიმღები მოწყობილობები საერთოდ არ არის კავშირში არც შპს „მაგთიკომის“ საბილონგო სისტემასთან და არც „მაგთისატის“ მომსახურებასთან, შესაბამისად, მას არ ერიცხება სააბონენტო და აღნიშნულ მიმღებ მოწყობილობაზე არ იგზავნება უშუალოდ „მაგთისატის“ აბონენტებისთვის განკუთვნილი სარეკლამო თუ სხვა შინაარსის შეტყობინებები.

კომისიის სხდომაზე შპს „სუპერ ტვ“-ს წარმომადგენლებმა დამატებით განმარტეს, რომ კომპანია მზად არის უზრუნველყოს ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ განთავსება შპს „სუპერ ტვ“-ს სატრანზიტო ქსელში იმ შემთხვევაში, თუ ააიპ „სამოქალქო განათლების ფონდის“ მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული სავალდებულო ტრანზიტის უფლება განხორციელდება მართლზომიერად და კომპანიის მიერ დაცული იქნება სავალდებულო ტრანზიტის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ის სტანდარტები, რაც განსაზღვრულია კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებით. რაც შეეხება „მაგთისატის“ მიმღებ მოწყობილობას, შპს „სუპერ ტვ“-ს წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნული მიმღები მოწყობილობა წარმოადგენს საყოფაცხოვრებო დანიშნულების მოწყობილობას და ამას ადასტურებს თავად მოწყობილობაზე თანდართული ინსტრუქცია, სადაც აღნიშნულია, რომ მაგალითად ჭექა-ქუხილის დროს მოწყობილობა გამორთული უნდა იყოს ქსელიდან, ასევე მოწყობილობა ყოველთვის გამორთული უნდა იყოს ქსელიდან იმ შემთხვევაში თუ ხდება სახლიდან დიდი ხნით გამგზავრება და ა.შ. შესაბამისად, შპს „სუპერ ტვ“-ს წარმომაგენლებს მიაჩნიათ, რომ მარტო ეს ფაქტიც კი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ აპარატურა წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და არა პროფესიულ/არასაყოფაცხოვრებო მოწყობილობას.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ კომისიის 2013 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე ასევე წარმოდგენილ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის წერილი (25.12.2013 N51-0/2) სადაც აღნიშნულია, რომ კომისიის 2013 წლის 23 დეკემბრის N01/2809-13 წერილობითი მიმართვის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი აღნიშნავს, რომ ზოგადად პროფესიული (არასაყოფაცხოვრებო) აპარატურა, საყოფაცხოვრებოსთან შედარებით გულისხმობს ტექნიკური და საექსპლუატაციო პარამეტრების გაცილებით მაღალ სტანდარტს და როგორც წესი პროფესიული აპარატურისთვის ეს პარამეტრები ნორმირებულია. მათ მიეკუთვნება:

1. შიდა და გარე ელექტრული პარამეტრები და მათი სტაბილურობის ხარისხი;
2. ცალკეული ეგზემპლარების იდენტურობის ხარისხი;
3. განსაზღვრული საექსპლოატაციო გარემო და პირობები;
4. პროგრამული უზრუნველყოფის მდგრადობა და მოქნილობა;
5. აპარატურის კონსტრუქციული რეალიზაცია;
6. აპარატურის საიმედოობა;

როგორც წერილშია აღნიშნული, წერილის ავტორების მიერ განხორციელდა ბულგარული კომპანია „BULSATCOM”-ის წარმოებული სატელიტური მიმღები ZHD 210 HDTV -ს დოკუმენტური შეფასება და არსებული მასალის საფუძველზე წერილის ავტორებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული აპარატურის გამოყენება შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მხარეებისა და მოწმის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებების, კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, კომისია აღნიშნავს შემდეგს:

1. „მაუწყებლობისშესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად, მაუწყებლობის სფეროში კომისიის ერთ–ერთი ფუნქციაა, მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი; ამ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სანქციების დაკისრება;

2. ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის ან/და ნებართვის მფლობელების მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში ამავე კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას;

3. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და სალიცენზიო ან/და სანებართვო პირობების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება და მათი დარღვევისას კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება, ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას. ხოლო 45–ე მუხლის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის ან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში დააკისროს ჯარიმა.

4. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ მაუწყებელს, სათემო მაუწყებელს, ამ კანონის შესაბამისად ლიცენზირებულ საერთო მაუწყებელს, რომელიც მაუწყებლობს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მომსახურების მიწოდების ზონაში (თანამგზავრული მაუწყებლობის ლიცენზიისთვის მაუწყებლობის ზონა ამ მუხლის მიზნებისათვის არის ქვეყნის მთელი ტერიტორია), აგრეთვე საერთო საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე პირს, რომლის მაუწყებლობა ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 20%-ისთვის, უფლება აქვთ, მოსთხოვონ მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს, ასეთი მაუწყებლის სატელევიზიო არხი მომხმარებლისათვის შეთავაზებულ ყველა პაკეტში განათავსოს („სავალდებულო ტრანზიტი“). ამ შემთხვევაში მაუწყებელს არ წარმოეშობა მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირისგან მაუწყებლის სიგნალის ტრანზიტისათვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

5. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40[1] მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, მაუწყებელს შეუძლია სავალდებულო ტრანზიტის მოთხოვნა მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს წარუდგინოს მის იურიდიულ მისამართზე დაზღვეული წერილის გაგზავნით. მაუწყებელი ვალდებულია თავისი ხარჯით, ერთჯერადად მიაწოდოს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს მაუწყებლის სიგნალის ქსელში გავრცელებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები და უზრუნველყოს მაუწყებლის სიგნალის თანამგზავრამდე მიტანა. ტექნიკური საშუალებების ერთჯერადი მიწოდების ვალდებულება არ ვრცელდება მაუწყებელზე, რომლის მაუწყებლობის ტრანზიტიც ხორციელდება ამ მუხლის ამოქმედებისას. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული სხვა ურთიერთვალდებულებები განისაზღვრება მხარეებს შორის დადებული ტრანზიტის ხელშეკრულებით. ტრანზიტის ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია ტრანზიტის ხელშეკრულება ან ტრანზიტის განხორციელების სხვა სამართლებრივი საფუძველი განათავსოს თავის ვებ გვერდზე და წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადასცეს ასეთი ხელშეკრულების ასლი ნებისმიერ პირს.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ტექნიკური საშუალებების ტექნიკურ მონაცემებს ადგენს კომისია. მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს სავალდებულო ტრანზიტის მოთხოვნა კომისიის მიერ დადგენილი ტექნიკური მონაცემების შესაბამისად, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მაუწყებლების მიერ ტექნიკური საშუალებების მიწოდებიდან 14 დღის ვადაში.

ამავე მუხლის მე–11 პუნქტის შესაბამისად, რომელიმე მხარის მიერ ამ მუხლის პირველი, მე-3, მე-6, მე-7 ან/და მე-8 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია საჩივრით მიმართოს კომისიას.

6. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები;

7. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის (საქართველოს კანონმდებლობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში) შესაბამისად, საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ორგანიზებისა და ურთიერთობების რეგულირების საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნულ შემთხვევაში, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40[1] მუხლით ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირებისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისიწნებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას, რომლის დაცვის ვალდებულებაც „ელქტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტიდან გამომდინარე აკისრია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებს.

8. კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო ტრანზიტის განხორციელებისას მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მიერ მაუწყებლის სიგნალის გავრცელებისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მონაცემები“, რომლითაც განისაზღვრა სავალდებულო ტრანზიტის განხორციელებასთან დაკავშირებით, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირების მიერ მაუწყებლის სიგნალის გავრცელებისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მონაცემები კერძოდ:

№	ტექნიკური საშუალების დასახელება	ტექნიკური საშუალების შესასვლელი	ტექნიკური საშუალების გამოსასვლელი	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	მიმღები ანტენა (ოფსეტური ან პარაბოლური) თანამგზავრიდან ან მიწისზედა სადგურიდან სატელევიზიო პროგრამის მიღებისათვის სანტიმეტრულ (SHF) დიაპაზონში		სატელევიზო სიგნალის დონე (-60დბმვ ÷ -30დბმვ) შუალედური სიხშირის (950მჰც÷2150მჰც) დიაპაზონში	ანტენის ფოკუსში მოთავსებული მაძლიერებელ- -გარდამსახთან (LNB) შეთანხმებული, კონსტრუქციული სიგრძის კოაქსიალური კაბელის (75ომი) გამოსასვლელზე
2	თანამგზავრული მიმღები: არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების, ტექნიკური საშუალებების კონკრეტული მოდელის (დამამზადებელი ფირმის) საექსპლუატაციო პარამეტრების შესაბამისი, თანამგზავრიდან ან მიწისზედა სადგურიდან სატელევიზიო პროგრამის მიღებისათვის სანტიმეტრულ (SHF) დიაპაზონში	სატელევიზიო სიგნალის დონე (-60დბმვ ÷ -30დბმვ) შუალედური სიხშირის (950მჰც÷2150მჰც) დიაპაზონში	ვიდეო(V) და ბგერითი(A) სიგნალები დონით: V-(0,8÷1,3ვ) დატვირთვაზე 75ომი A-(-8დბმვ ÷ +7დბმვ) დატვირთვაზე 0,6/12კომი ან/და MPEG2 ფორმატის, გახსნილი (დეკოდირებული), DVB-ASI სიგნალი	
3	ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელით მიღებული სატელევიზიო სიგნალის არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების მიმღებ-გარდამსახი	ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელით მიწოდებული ნაკადი	ვიდეო(V) და ბგერითი(A) სიგნალები დონით: V-(0,8÷1,3ვ) დატვირთვაზე 75ომი A-(-8დბმვ ÷ +7დბმვ) დატვირთვაზე 0,6/12კომი ან/და MPEG2 ფორმატის, გახსნილი (დეკოდირებული), DVB-ASI სიგნალი	გამოყოფილი ხაზის უზრუნველყოფა (PP)
4	მეტრულ (VHF) და დეციმეტრულ (UHF) დიაპაზონში სატელევიზიო მაუწყებლობის ანალოგური სიგნალის საარხო მიმღები	45მჰც ÷ 862მჰც სიხშირულ დიაპაზონში კოაქსიალური კაბელით (75ომი) მიწოდებული მაუწყებლობის სიგნალი დონით არა უმცირეს 57დბმკვ VHF დიაპაზონში 65დბმკვ UHF დიაპაზონში	ვიდეო(V) და ბგერითი(A) სიგნალები დონით: V-(0,8÷1,3ვ) დატვირთვაზე 75ომი A-(-8დბმვ ÷ +7დბმვ) დატვირთვაზე 0,6/12კომი	
5	კოაქსიალური კაბელით მეტრულ ან დეციმეტრულ დიპაზონში ციფრულ ფორმატში სატელევიზიო მაუწყებლობის სიგნალის არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების მიმღებ-გარდამსახი	45მჰც ÷ 862მჰც სიხშირულ დიაპაზონში კოაქსიალური კაბელით (75ომი) მიწოდებული მაუწყებლობის სიგნალი	ვიდეო(V) და ბგერითი(A) სიგნალები დონით: V-(0,8÷1,3ვ) დატვირთვაზე 75ომი A-(-8დბმვ ÷ +7დბმვ) დატვირთვაზე 0,6/12კომი ან/და MPEG2 ფორმატის, გახსნილი (დეკოდირებული), DVB-ASI სიგნალი	
6	ანალოგური სატელევიზიო მაუწყებლობის საარხო მოდულიატორი კონკრეტული მოდელის (დამამზადებელი ფირმის) საექსპლუატაციო პარამეტრების შესაბამისი,	ა) გაძლიერების ავტომატური რეგულირების (AGC) შესაძლებლობის მქონე შესასვლელზე ანალოგური ვიდეო(V) სიგნალის დონე V-(0,8ვ÷1,3ვ) დატვირთვაზე	45მჰც÷862მჰც სიხშირულ დიაპაზონში ანალოგური ფორმატის სამაუწყებლო სიგნალი, მაქსიმალური დონით 120დბმკვ დატვირთვაზე 75ომი	

	მეტრულ (VHF) და დეციმეტრულ (UHF) დიაპაზონებში ფუნქციონირებისთვის	75ომი ბ) გაძლიერების ავტომატური რეგულირების (AGC) შესაძლებლობის მქონე შესასვლელზე ანალოგური ბგერითი(A) სიგნალის დონე A-(-8დბმვ ÷ +7დბმვ) დატვირთვაზე 0,6/12კომი		
7	MPEG კოდირების მოწყობილობა	ანალოგური ან ციფრული (A/V, CVBS, SDI) სატელევიზიო სიგნალი	MPEG2 ან/და MPEG4 ფორმატის სიგნალი	
8	ენკოდერი	ანალოგური ან ციფრული (A/V, CVBS, SDI, H264) სატელევიზიო სიგნალი	ციფრული სატრანსპორტო ნაკადი (TS)	ციფრული/ანალოგური ფორმატის ცვლილებისათვის
9	მულტიპლექსორი	ციფრული სატრანსპორტო ნაკადები (TS)	გაერთიანებული ციფრული სატრანსპორტო ნაკადი	
10	ეთერიდან მეტრულ (VHF) და დეციმეტრულ (UHF) დიაპაზონში სატელევიზიო მაუწყებლობის პროგრამის მიმღები ანტენა (საარხო ან ფართე ზოლოვანი)		სამაუწყებლო სიგნალის დონე საარხო სიხშირეზე 57დბმკვ (VHF) დიაპაზონში 65დბმკვ (UHF) დიაპაზონში	ანტენასთან შეთანხმებული კონსტრუქციული სიგრძის კოაქსიალური კაბელის (75ომი) გამოსასვლელზე
11	რადიოსარელეო ხაზის მიმღები მოწყობილობა საანტენო სისტემით		ვიდეო(V) და ბგერითი(A) სიგნალები დონით: V-(0,8÷1,3ვ) დატვირთვაზე 75ომი A-(-8დბმვ ÷ +7დბმვ) დატვირთვაზე 0,6/12კომი ან/და MPEG2 ფორმატის, გახსნილი (დეკოდირებული), DVB-ASI სიგნალი სიგნალი	

კომისია აღნიშნავს, რომ

1. ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ ფლობს კერძო (საერთო) მაუწყებლობის NB21, NB91 და NB99 ლიცენზიებს, რომლებიც ითვალისწინებს კერძო (საერთო) ტელემაუწყებლობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში (მათ შორის ქ.თბილისში) რადიოსიხშირული სპექტრის (საეთერო მაუწყებლობა) გამოყენებით; ამავე დროს, ააიპ “სამოქალაქო განათლების ფონდი“ კერძო მაუწყებლობის NB21 ლიცენზია ასევე ითვალისწინებს მაუწყებლობის უფლებას თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების გამოყენებით. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ და შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენლების მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებებიდან გამომდინარე დადასტურდა, რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ არ ახორციელებს მაუწყებლობას თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების გამოყენებით. ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“, როგორც თანამგზავრული მაუწყებლის სამაუწყებლო სიგნალი ხელმისაწვდომია მხოლოდ „მაგთისატის“ აბონენტებისთვის, კერძოდ, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ ვიდეოსიგნალი მიეწოდება შპს „მაგთიკომის“ ენკოდერს, რომელიც განთავსებულია ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ ოფისში, მიღებული სიგნალი შპს „მაგთიკომის“ ინფრასტურქტურის გამოყენებით გადაიცემა შპს „მაგთიკომის“ სათაო ოფისში, შემდეგ შპს „მაგთიკომის“ სათაო ოფისიდან ხორციელდება სიგნალის ატვირტვა 4.8E პოზიციაში მყოფ თანამგზავრზე. ატვირთული სიგნალი მიიღება ქ.სტოკჰოლმში მდებარე შპს „მაგთიკომის“ სადგურში, რომელიც, თავის მხრივ, იტვირთება 31.5E პოზიციაში მყოფ თანამგზავრზე, საიდანაც ხდება სიგნალის დისტრიბუცია მაგთისატის მიმღები საშუალებით;

რაც შეეხება ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდს“ როგორც საეთერო მაუწყებელს, კომისიის აპარაატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ კომისიის სხდომაზე გაკეთებული ახსნა-განამარტებიდან გამომდინარე დასტურდება, რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების მიერ“ ხორციელდება საერთო საეთერო მაუწყებლობა კომპანიის კუთვნილი კერძო მაუწყებლობის NB21, NB91 და NB99 ლიცენზიებით გათვალისწინებული რადიოსიხირული სპექტრის გამოყენებით. შესაბამისად, ააიპ

„სამოქალაქო განათლების ფონდი“, როგორც საეთერო მაუწყებელი უფლებამოსილია ისარგებლოს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40[1] მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო ტრანზიტის უფლებით და მოსთხოვოს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს, საკუთარი სამაუწყებლო არხის განთავსება სატრანზიტო ქსელში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40[1] მუხლის მე-3 პუნქტიდან და კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებიდან გამომდინარე, ვალდებულია თავისი ხარჯით, ერთჯერადად მიაწოდოს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს მაუწყებლის სიგნალის ქსელში გავრცელებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები იმ ტექნიკური მონაცემების გათვალისწინებით, რაც განსაზღვრულია კომისიის ზემოაღნიშნული დადგენილებით. თავის მხრივ, შპს „სუპერ ტვ“, რომელიც წარმოადგენს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს და ახორციელებს მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებას ქ.თბილისში, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40[1] მუხლიდან გამომდინარე ვალდებულია უზრუნველყოს ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ განთავსება მომხმარებლისათვის შეთავაზებულ ყველა პაკეტში;

კომისია დამატებით განმარტავს, რომ მაუწყებელი არ არის შეზღუდული, კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილების დანართი N1-ით გათვალისწინებული ტექნიკური გადაწყვეტიდან რომელს აირჩევს სავალდებულო ტრანზიტის განხორციელების მიზნით მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირისთვის სამაუწყებლო სიგნალის მიწოდებისთვის. გასათვალისწინებელია, რომ ეს გარემოება სადაო არ გამხდარა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, შესაბამისად, კომისია აღნიშნავს, რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“, შპს „სუპერ ტვ“-სთვის სამაუწყებლო სიგნალის მისაწოდებლად უფლებამოსილია აირჩიოს კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილების დანართი N1-ით მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც ითვალისიწინებს, რომ თანამგზავრული მიმღები უნდა იყოს არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების, ტექნიკური საშუალებების კონკრეტული მოდელის (დამამზადებელი ფირმის) საექსპლუატაციო პარამეტრების შესაბამისი, თანამგზავრიდან ან მიწისზედა სადგურიდან სატელევიზიო პროგრამის მიღებისათვის სანტიმეტრულ (SHF) დიაპაზონში. ტექნიკური საშუალების შესასვლელი უნდა ითვალისწინებდეს სატელევიზიო სიგნალის დონეს (-60დბმვ ÷ -30დბმვ) შუალედური სიხშირის (950მჰც÷2150მჰც) დიაპაზონში, ხოლო ტექნიკური საშუალების გამოსასვლელი უნდა ითვალისიწნებდეს ვიდეო (V) და ბგერითი (A) სიგნალები დონით: V-(0,8÷1,3ვ) დატვირთვაზე 75 ომი, A-(-8დბმვ ÷ +7დბმვ) დატვირთვაზე 0,6/12 კომი, ან/და MPEG2 ფორმატის, გახსნილი (დეკოდირებული), DVB-ASI სიგნალი.

2. მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მხარეების მიერ სადაო არ გამხდარა ერთი მხრივ, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ უფლება, მოსთხოვოს შპს „სუპერ ტვ“-ს მომხმარებლისთვის შეთავაზებულ პაკეტში სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ განთავსება (ააიპ „სამოქალაქო განათლრების ფონდის“ მიერ დაზუსტებული მოთხოვნის შესაბამისად, კომპანია ითხოვს სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ განთავსებას შპს „სუპერ ტვ“-ს მხოლოდ საკაბელო ანალოგურ ქსელში) და აღნიშნულის მიზნით თავისი ხარჯით, ერთჯერადად შპს „სუპერ ტვ“-სთვის მაუწყებლის სიგნალის ქსელში გავრცელებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების მიწოდების ვალდებულება და მეორე მხრივ, შპს „სუპერ ტვ“-ს ვალდებულება, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიმართვისა და ტექნიკური საშუალებების მიწოდების შემდგომ, უზრუნველყოს სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ განთავსება შპს „სუპერ ტვ“-ს სატრანზიტო ქსელში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დავის საგანს წარმოადგენდა ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ შპს „სუპერ ტვ“-სთვის, სავალდებულო ტრანზიტის განხორციელების მიზნით მიწოდებული ტექნიკური საშუალებების შესაბამისობა კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პარამეტრებთან.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ სამსახურებრივ ბარათებში აღნიშნულია, რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ შპს „სუპერ ტვ“-სთვის მიწოდებული თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV (მოდელი ZHD210) წარმოადგენს საყოფაცხოვრებო სარგებლობის თანამგზავრულ მიმღებ მოწყობილობას, რომლიდანაც მიიღება CVBS და HDMI სიგნალები და საყოფაცხოვრებო დანიშნულების თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV ნაწილობრივ აკმაყოფილებს კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს №8 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დეპარტამენტმა ასევე განმარტა, რომ „მაგთისატის“ თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV (რესივერი), წარმოადგენს საყოფაცხოვრებო სააბონენტო მიმღებ მოწყობილობას, რომლის მეშვეობითაც „მაგთისატი“ აწარმოებს სამომხმარებლო პაკეტების აბონენტებამდე მიწოდებას. ამავე დროს, როგორც დეპარტამენის მიერ წარმოდგენილ დასკვნაშია აღნიშნული ამ მოწყობილობის საშუალებით, ტექნიკურად შესაძლებელია, სამაუწყებლო არხ „ტაბულა“-ს სატელევიზიო სიგნალის შპს „სუპერ ტვ“-ს ანალოგურ საკაბელო ქსელში ჩართვა.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტმა თავისი დასკვნის გასამყარებლად გამოიყენა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის წერილი (25.12.2013 N51-0/2) სადაც აღნიშნულია, რომ ბულგარული კომპანია „BULSATCOM"-ის წარმოებული სატელიტური მიმღები ZHD 210 HDTV -ს დოკუმენტური შეფასების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე აღნიშნული აპარატურის გამოყენება შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით.

კომისია ვერ გაიზიარებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის წერილში (25.12.2013 N51-0/2) აღნიშნულ გარემოებას, რომ „BULSATCOM"-ის მიერ წარმოებული მიმღები მოდელი ZHD210 HDTV-ს გამოყენება მიზანშეწონილი შეიძლება იყოს **<u>მხოლოდ</u>** საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, ვინაიდან ერთი მხრივ, როგორც კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის წარმომადგენლების მიერ განხორციელდა მიმღები აპარატურის მხოლოდ ვიზუალური და დოკუმენტური შეფასება და როგორც კომისიის აპარატის რადიოსიშირეთა მართვის დეპარტამენტის, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მიერ არ ყოფილა მითითება საქართველოში მოქმედ რაიმე სახის იმ ტექნიკურ სტანდარტებზე, რაც უტყუარად დაადასტურებდა კომპანია „BULSATCOM"-ის მიერ წარმოებული მიმღები მოდელი ZHD210 HDTV-ს მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულებას. ამავე დროს, კომისია მიუთითებს თავად მწარმოებლის, კომპანია „BULSATCOM"-ის წერილზე, სადაც აღნიშნულია, რომ თანამგზავრული მიმღები მოდელი ZHD210 HDTV განკუთვნილია საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის, მაგრამ ქსელის ოპერატორის გადაწყვეტილების მიხედვით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საკაბელო ქსელის სათაო სადგურში პროფესიონალური დანიშნულებით. რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის დასკვნაში, მიუხედავად ორაზროვნებისა, აღნიშნულია რომ თანამგზავრული მიმღები მოდელი ZHD210 HDTV-ს საშუალებით ტექნიკურად შესაძლებელია, სამაუწყებლო არხ „ტაბულას" სატელევიზიო სიგნალის, შპს „სუპერ ტვ"-ს ანალოგურ საკაბელო ქსელში ჩართვა. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ ამ აპარატურით უკვე ხორციელდება ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის" სამაუწყებლო არხ „ტაბულას" რეტრანსლირება მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირების (შპს „სინემა კახეთი", შპს „გორდა", შპს „ტელევიზია კახეთი") სატრანზიტო ქსელში.

კომისია დამატებით მიუთითებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მოწმის სტატუსით მონაწილე შპს „მაგთიკომის" წარმომადგენლის ახსნა-განმარტებაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ მიმღები მოწყობილობა, რომელსაც თავად შპს „მაგთიკომი" იღებს უშუალოდ მწარმოებლისგან, აპარატურის სერიული ნომრისა და კოდირების სისტემის გათვალისწინებით განკუთვნილია კონკრეტულად იმ მაუწყებლისთვის, რომლის სამაუწყებლო არხის რეტრანსლირებაც ხორციელდება აღნიშნული აპარატურით.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ 2013 წლის 12 ივლისს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (სარეგისტრაციო კოდი N450140000.05.001.017018), საქართველოს კანონით განხორციელებული ცვლილება, რომლითაც კანონს დაემატა სავალდებულო ტრანზიტის განხორციელების მარეგულირებელი მე-40[1] მუხლი, მიზნად ისახავდა მედია მრავალფეროვნებისთვის დამატებითი საკანონმდებლო გარანტიების შექმნას, რათა დაუცველი და გაუთვალისწინებელი არ დარჩენილიყო ის მაღალი საჯარო ინტერესი, რაც საზოგადოებაში არსებობს მრავალფეროვანი მედიის მიმართ, შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სავალდებულო ტრანზიტის სწრაფ და ეფექტურ განხორციელებას. ბუნებრივია ეს თავისთავად არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ სავალდებულო ტრანზიტის განხორციელებისას მაუწყებლები და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირები ვალდებულნი არიან დაიცვან „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონისა და კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებით დამტკიცებული სავალდებულო ტრანზიტის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობები, მათ შორის მაუწყებლის სიგნალის გავრცელებისთვის დადგენილი ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მონაცემები. ამავე დროს, მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში განხილული და შესწავლილი მტკიცებულებების გათვალისწინებით კომისიას მიაჩნია, რომ ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ცალსახად, ერთმნიშვნელოვნად და უტყუარად ვერ იქნა დადასტურებული ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის" მიერ სავალდებულო ტრანზიტის განხორციელების მიზნით შპს „სუპერ ტვ"-სთვის მიწოდებული ტექნიკური საშუალების (თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV) ტექნიკური პარამეტრების შეუსაბამობა კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებთან, ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მიმღები მოწყობილობის მეშვეობით შესაძლებელია ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის" სატელევიზიო სიგნალის, შპს „სუპერ ტვ"-ს ანალოგურ საკაბელო ქსელში ჩართვა და რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი" წარმოადგენს საეთერო მაუწყებელს, რომელიც ახორციელებს მაუწყებლობას კერძოდ საერთო (საეთერო) მაუწყებლობის NB21, NB91 და NB99 ლიცენზიებით

გათვალისწონებულ ქალაქებსა და რაიონებში (მათ შორის ქ.თბილისში) და შესაბამისად, უფლებამოსილია სავალდებულო ტრანზიტის განხორციელების მიზნით, საკუთარი სამაუწყებლო სიგნალის მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირისთვის მისაწოდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს ის ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც განსაზღვრულია კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილების დანართი N1-ით, კომისიას, თავად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40[1] მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მრავალფეროვანი მედიის მიმართ საზოგადოებაში არსებული მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით მიაჩნია, რომ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ განცხადება და დაევალოს შპს „სუპერ ტვ“-ს უზრუნველყოს ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ განთავსება კომპანიის ანალოგურ საკაბელო ქსელში, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ შპს „სუპერ ტვ“-სთვის მიწოდებული ტექნიკური საშუალების (თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV) გამოყენებით.

რაც შეეხება ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მოთხოვნას შპს „სუპერ ტვ“-ს სანქცირებასთან დაკავშირებით, კომისიას აღნიშნავს შემდეგს:

როგორც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა, შპს „სუპერ ტვ“-ს არ უთქვამს უარი ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდისთვის“ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისიწნებული სავალდებულო ტრანზიტის მოთხოვნის შესრულებაზე; შპს „სუპერ ტვ“ დაეყრდნო რა კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მიერ 2013 წლის 15 ნოემბერს შედგენილ მიმღები მოწყობილობის დათვალიერების ოქმს მიიჩნია, რომ თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV წარმოადგენდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების მიმღებ მოწყობილობას და იმის გათვალისწინებით, რომ კომისიის 2013 წლის 26 აგვსიტოს N8 დადგენილების დანართი N1-ს მე-2 პუნქტის შესაბამისად, თანამგზავრული მიმღები მოწყობილობა უნდა იყოს არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების, მოსთხოვა ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდს“ შპს „სუპერ ტვ“-სთვის მიწოდებული ტექნიკური საშუალების შესაბამისობაში მოყვანა კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილებით განსაზღვრულ ტექნიკურ მონაცემებთან, აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არ იქნა დადასტურებული შპს „სუპერ ტვ“-ს მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40[1] მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისგან თავის არიდებისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი, რაც შეიძლება გამხდარიყო შპს „სუპერ ტვ“-ს მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველი, აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას მიაჩნია, რომ ააიპ „სამოქალქო განათლების ფონდის“ მოთხოვნა შპს „სუპერ ტვ“-ს სანქცირების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს;

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტის, მე–40[1] მუხლის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 43-ე მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 98-ე, 99-ე მუხლების, VII და VIII თავებისა და კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს N8 დადგენილების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ განცხადება (კომისიაში რეგისტრაციის N6/6836-13 – 26.11.2013) და დაევალოს შპს „სუპერ ტვ“-ს უზრუნველყოს ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ განთავსება კომპანიის ანალოგურ საკაბელო ქსელში, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ შპს „სუპერ ტვ“-სთვის მიწოდებული ტექნიკური საშუალების (თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV) გამოყენებით;
2. არ დაკმაყოფილდეს ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მოთხოვნა შპს „სუპერ ტვ“-ს სანქცირებასთან დაკავშირებით;
3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს აღნიშნული გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისთვის გაგზავნა (მ.ნინუა);
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;
5. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი დამოწმებული ასლის მხარეთათვის ჩაბარების დღიდან;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების და რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამეტებს (ს.შავგულიძე; ი.მახარაძე).

კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — აკაკი სიხარულიძე
კომისიის წევრი — სოფიო ბრიტანჩუკი
კომისიის წევრი — ირაკლი მოსეშვილი